„ნაციის“ კუდი არ გასწორდება!!!

თემურ მარშანიშვილი

გაერთიანებული ოპოზიციის სახელით შენიღბული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ („გაევროპებულიცა“ და „გაუევროპებელიც“) თავისი ჩვეული ხელწერით – ხმაურით, ძალადობით, დებოშით, ქვეყანასა და საზოგადოებაში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობით, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების, მათ შორის საკანონმდებლო და ძალოვანი სტრუქტურების შეურაცხყოფითა და დაშინებით, „გენერალურ რეპეტიციას“ გადის და „პრემიერისთვის“, ანუ სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება.

ის, რაც 4 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საკრებულოს სხდომის დაწყების წინ მოხდა, ამ „რეპეტიციის“ შემადგენელი ნაწილია, მას პროვოკაცია ჰქვია და არა საკრებულოს დეპუტატებს, თუ პოზიციურ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირება. ამ პროვოკაციის ავტორი კი, რასაკვირველია, ამჯერადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის ლიდერი დავით მჟავანაძეა, ვისაც ოზურგეთელი „ნაციონალებიდან“ ეს საქმე ყველაზე უკეთ ხელეწიფება და ვინაც წინ დღეებში სოციალულ ქსელში „დაბომბა“ და სულ „უდიპლომოები“ და „უატესტატოები“ უწოდა საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებს. ოპოზიციონერი დეპუტატი, როგორც თვითონ განაცხადა, დაეყრდნო ერთ-ერთ მედიასაშუალებაში საკრებულოს ყოფილი თანამშრომლის, ამჟამად ისრაელში მცხოვრები ჟურნალისტის ანა ბორჩხაძის ინფორმაციას: „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ლიდერებიდან, უმაღლესი განათლების ქონას, რომ თავი დავანებოთ, ბევრია ისეთი, სკოლაში ატესტატიც რომ ვერ აიღო თავის დროზე დაბალი მაჩვენებლების გამო, ახლა კი დეპუტატებიც არიან და ორ-სამ თანამდებობასაც იკავებენ ერთდროულად“. ბორჩხაძე რომ ამავე ინფორმაციაში არ აკონკრეტებს, ვინ არიან ეს ადამიანები, – არაფერია მჟავანაძისთვის, ვისაც განათლების არა, მაგრამ აღზრდის პრობლემა ნამდვილად აქვს, რაც უკვე მერამდენედ გამოვლინდა მის ქცევებში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძესთან, ისე დეპუტატ მარი ჩხიკვიშვილთან კამათის დროს. ღურჯუმელიძე ხომ მის თვალში „მონა“ და „მოღალატეა“, ხოლო მარი ჩხიკვიშვილის დედა და მთლიანად ჩხიკვიშვილების ოჯახი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ, შტაბი იყო მათ ოჯახში და ქალბატონ როზეტა სკამკოჩაიშვილს, თურმე, სხვათა შორის, „ნაცების“ 450 ლარი ვალიც ჰქონია დღემდე დავალებების შეუსრულებლობისთვის.

საპასუხოდ მარი ჩხიკვიშვილმა თქვა, თუ როგორ ძალადობდნენ მის მშობლებსა და ოჯახზე და ზოგადად ხალხზე „ნაციონალები“:

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 43 (10336) 9 დეკემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

არტემ ერქომაიშვილის პრემიით მომღერალთა ტრიო „რეხეული“ დაჯილდოვდა

1 დეკემბერს, ქ. თბილისში, სამეფო უბნის თეატრში, არტემ ერქომაიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულთა საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

ეს კონკურსი ფონდ „ქართული გალობის“ მიერ ჩატარდა . აღნიშნულ კონკურსში ქალთა ტრიო „რეხეულმა“ მეორე ადგილი დაიკავა.

ტრიოს ხელმძღვანელს ფოტინე გორდელაძეს ჯილდო ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა გადასცა.

შეგახსენებთ გაზეთი „ალიონის“ საცალო ფასია – 60 თეთრი

ხელმოწერა:

6 თვით – 15 ლარი

ერთი წლით – 30 ლარი

ორად გაყოფილი სოფელი ვაკიჯვარი და კითხვა – აშენდება თუ არა „ნატანები ჰესი“

6 დეკემბერს სოფელ ვაკიჯვარში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშენ“-ის მიერ „ნატანების“ ჰესის მშენებლობის სკოპინგის ანგა-რიშის საჯარო განხილვა გაიმართა.

განხილვას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი **გურამ ყაფლანიშვილი** უძღვებოდა, ხოლო სკოპინგის ანგარიში შპს „გამა კოსტანტიგის“ წარმომადგენელმა **ჯულული ახვლედიანმა** წარმოადგინა. ამ განხილვის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი წარმომადგენლობის სხდომათა დარბაზმა დამსწრეები ვერ დაიტია. განხილვას ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ: გურიის გუბერნატორის პირველი მოადგილე **აკაკი შენგელია,** მოადგილე **ქეთი მოისწრაფეშვილი,** მერის პირველი მოადგილე **ალექსანდრე სურგულაძე.** განხილვა აშკარად დაპირისპირების რეჟიმში წარიმართა და დაწყებიდან დაახლოებით ერთ საათში მშენებლობის მოწინააღმდეგეებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. დარბაზში განხილვის გაგრძელებას ძირითადად ჰესის აგების მომხრეები დაესწრნენ.

გაზეთ „ალიონმა“ ჰესის პროექტის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსს, აკადემიკოს **დავით შარიქაძეს** სთხოვა კომენტარი: –„ნატანები 3 ჰესი“ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის მიხედვით 9,085 მეგავატ სიმძლავრეზეა გათვლილი. ეს სიმძლავრე არის წინასწარი კვლევების შედეგი, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების (მათ შორის გარემოსა და სოციალური ზემოქმედების) შემდეგ დაზუსტდება.

ჰესი სათავო ნაგებობა ზღვის დონიდან 652 მეტრზე, ქორბუდეში იქნება, კაშხალის სიმაღლე –8,2 მეტრი, ხოლო სადაწნეო მილების სიგრძე 4635 მეტრი. ელექტროსადგურის შენობა განკუთვნილი იქნება 5 პელტონის ტიპის ვერტიკალური ჰიდროაგრეგატის დამონტაჟებისა და ექსპლუატაციისათვის.

ვაკიჯვრელების ერთი ჯგუფი, თავიდანვე საინიციატივო ჯგუფის შექმას ითხოვდნენ, თუმცა დარბაზში ადამიანების რაოდენობა თანდათან მატულობდა და დაძაბულობის მუხტიც იზრდებოდა

– ხალხს ჰკითხეთ, უნდა თუ არა ჰესის მშენებლობა? კომპანია მილიონებს იშოვის, ბუნება კი განადგურდება –ემოციური გამოსვლა ჰქონდა ვაკიჯვრელ შალვა დოლიძეს.

– 1943 წელს იყო სოფელ ვაკიჯვრიდან ბახმაროს გზის გაყვანის პროექტი, თუმცა შემდეგ პროექტი შეიცვალა და სოფელ ქვაბღიდან დაიწყეს ბახმაროს გზის გაყვანა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ყველა სატყეო უბ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ნაციის“ კუდი არ გასწორდება!!!

„უნდა გითხრა, რომ თქვენი ხელისუფლების პირობებში ქალების დაბულინგებაც ხდებოდა. იმ ადამიანს, რომელზედაც ასე ურცხვად ცრუობ, ყოველდღიურად იბარებდნენ და თქვენივე ბელადისთვის ხოტბის შესხმას ავალდებულებდნენ, სამსახურიდან გაგდებით ემუქრებოდნენ, ოჯახის წევრებს ჯარიმას ჯარიმაზე უწერდნენ. აი, ეს არის სიმართლე და ეს იცის საზოგადოებამ“.

ჩხიკვიშვილმა ოპონენტს მოძალადე უწოდა და მკერდიდან ჩამოხსნა ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების სიმბოლო – ნარინჯისფერი ბაფთა, რომელიც ამ უკანასკნელს, როგორც სხვა დეპუტატებს, ქალბატონმა ლელა საჯაიამ შეაბნია კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

„ექსკლუზივებზე“ მონადირე ჟურნალისტებმა თავიანთ მედიასაშუალებებში რატომღაც ჩამოკაკლეს მხოლოდ დავით მჟავანაძისთვის ღურჯუმელიძისგან დაბრუნებული „ხურდები“, ისიც კი დაითვალეს, რამდენჯერ უწოდეს მჟავანაძეს „ხულიგანი“, მჟავანაძის პროვოკაციულ ქმედებებზე, სხვა დეპუტატებისთვის მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე კი კრინტიც არ დაუძრავთ.

„წინა ბიუროს სხდომაზე რომ მოვედით ცოცხებით, ცეცხლსასროლი თუ „გაზავო“ იარაღებით შეიარაღებული ა(ა)იპ-ის თანამშრომლები დაგვახვედრეთ, საკრებულოს თავმჯდომარემ დატოვეთ აქაურობა და სადმე გადავდოთ საკრებულოო. მეორე ა(ა)იპ-ის თანამშრომელი დამხვდა ახლა და მეუბნება, რა უფლებით ხართ „ნაციონალური მოძრაობა“ აქაო. ვერ გავიგე, საკრებულო ვინმეს კუთვნილებაა თუ რა ხდება? მაშინ ა(ა)იპ-ში გადავიტანოთ სადმე და მათ ჩაატარონ სხდომა. თუ დეპუტატებს სხდომაზე შემოსვლის და ნორმალურად ურთიერთობის უფლება არ გვაქვს, მაშინ რა მინდა აქ, რა გავაკეთო? ყოფილი „ნაციონალები“ მეუბნებიან „ნაციონალი“ რატომ ხარო? ვერ გავიგე, ეს სხდომაა თუ ბარდაგი. ან გავაკონტროლოთ სიტუაცია, ან აზრს ვერ ვხედავ აქ დარჩენის“, – ეს დეპუტატ ბესო ქათამაძის სიტყვებია, ვისაც, მჟავანაძისგან განსხვავებით, ზრდილობა ნამდვილად არ აკლია, მაგრამ, ერთი შეხედვით, მისი ეს ტაქტიანი გამოსვლა ნამდვილად ვერ გადაფარავს იმ ფაქტს, რომ სხდომის წინ (და არა სხდომის დროს, როგორც ინფორმაციები გავრცელდა) ატეხილი ეს დებოში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი და მოწყობილი პროვოკაცია იყო. ამას, ერთი მხრივ, ამ პარტიის მხარდამჭერი მედიასაშუალებების ქმედებებიც ადასტურებს, რომელთა წარმომადგენლები დარბაზში ისე გადაადგილდებოდნენ, აშკარად უწყოდნენ, სად რა მოხდებოდა, ზეპირად იცოდნენ, საიდან რა და როგორ გადაეღოთ, ზოგიერთმა კი, თავიანთ რეპორტაჟებში ამ ისედაც წყალწაღებულ „ოცნებას“ ისე დასცხო, დარბაზში საერთოდ არ შემოუჭვრეტია.

დარწმუნებული ვარ, ამ წერილის გამოქვეყნებამდე, „ნაციონალური მოძრაობა“, „ოღონდ ბუნტი იყოს“ და უფრო მსხვილ პროვოკაციებზეც წავა. ამიტომ ვამბობდი და ვიმეორებ: ნაციის კუდი არ გასწორდება!!!

ახლა თუ ვინმეს გაინტერესებთ, სხდომაზე რა განიხილეს და დაამტკიცეს, იმასაც გაგაცნობთ:

– სხდომამ მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პრაქტიკულად და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, პრაქტიკულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

– ახალი დადგენილების მიღებით მხარი დაუჭირეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

– მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“

– მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადინისტრაციული წარმოების დაწყებას.

– ასევე მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

– მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისთვის „პალმების ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ.

ჩემი აზრით, ექვსივე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია დეპუტატებს ნაკლებად უნდა მოეცალათ ერთმანეთის ლანძღვისა და ერთმანეთთან ჩხუბისათვის, მაგრამ უამისოდ ქართული პოლიტიკა იქნება?!

„აქტიური მოქალაქეები - ძლიერი მუნიციპალიტეტი, სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში“

3 დეკემბერს სოლიდარობის ფონდი საქართველო“-ს ორგანიზებით, ქ. თბილისში კონფერენცია „აქტიური მოქალაქეები - ძლიერი მუნიციპალიტეტი, სამოქალაქო ბიუჯეტი საქართველოში“ გაიმართა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებით, სერტიფიცირების პროცესი წარმატებით გაიარა და დაჯილდოებულ მუნიციპალიტეტებს შორის აღმოჩნდა.

ინტერ-სააგენტოს კონსორციუმმა, რომელიც შეიქმნა საქართველოში მიმდინარე პროცესის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების მიზნით, სერტიფიკატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით დარჩიას გადასცა.

კონფერენციაში პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაცია და საკრებულო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ექსპერტები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე მოსახლეობის ჩართვის ახალ მექანიზმებზე, თანამონაწილეობასა და შერჩეული საპროექტო ინიციატივების რეალიზაციის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა და დისკუსია წარმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, პარტიციპაციის აკადემიის კურსდამთავრებულმა, ნანა თავდუმაძემ.

კონფერენციაზე ასევე გაიმართა 2019 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების პრეზენტაცია, დისკუსიის სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების, მეთოდოლოგიისა და განვითარების, ადგილობრივი სამოქალაქო ჩართულობის ახალი მექანიზმების შესახებ.

სამოქალაქო ბიუჯეტი (**PB**) წარმოადგენს პირდაპირი დემოკრატიის ერთ – ერთ ყველაზე მოწინავე მექანიზმს, რაც გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის მიმართულებით.

კონფერენცია ჩატარდა პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის ცხოვრებაში მოსახლეობის აქტივაციის და მონაწილეობაში ჩართული პერსონალის პროფესიონალიზაციის ინსტრუმენტი საქართველოში“ ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების სფეროში პოლონეთის დახმარების პროგრამის მხარდაჭერით.

"საქართველოს რკინიგზა" ახალ სამატარებლო გრაფიკზე გადადის

მიმდინარე წლის 8 დეკემბრიდან სს "საქართველოს რკინიგზა" ახალ სამატარებლო გრაფიკზე გადადის. "რკინიგზის" ცნობით, მატარებლები იმოძრავებენ შემდეგი განრიგით:

ჩქარი მატარებელი თბილისი - ბათუმი, თბილისიდან გავა 8:00 სთ -ზე, ბათუმში ჩასვლა - 13:00 სთ -ზე; ბათუმი - თბილისი, ბათუმიდან 18:00 სთ -ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 23:00 სთ -ზე; ჩქარი ელეტრომატარებელი თბილისი - ზუგდიდი, თბილისიდან გავა 8:10 სთ -ზე, ზუგდიდში ჩასვლა - 13:35 სთ -ზე; ზუგდიდი - თბილისი, ზუგდიდიდან 18:15 სთ-ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 23:50 სთ -ზე.

ჩქარი ელექტრომატარებელი თბილისი - ფოთი, თბილისიდან გავა 8:30 სთ -ზე, ფოთში ჩასვლა - 13:33 სთ - ზე; ფოთი - თბილისი, ფოთიდან 18:30 სთ-ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 23:30 სთ -ზე.

ჩქარი მატარებელი თბილისი - ოზურგეთი, თბილისიდან გავა 9:00 სთ -ზე, ოზურგეთში ჩასვლა - 17:10 სთ - ზე; ოზურგეთი - თბილისი, ოზურგეთიდან 9:05 სთ-ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 17:30 სთ - ზე. .სამგზავრო მატარებელი თბილისი - ოზურგეთი, თბილისიდან გავა 21:45 სთ - ზე, ოზურგეთში ჩასვლა - 6:25 სთ - ზე; ოზურგეთი - თბილისი, ოზურგეთიდან 21:35 სთ-ზე გამოვა, თბილისში ჩამოსვლა 6:45 სთ - ზე.

ორად გაყოფილი სოფელი ვაკიჯვარი და კითხვა –აშენდება თუ არა „ნატანები ჰესი

ანში გაიყვანეს გზები ხე-ტყის გამოსატანად, ვაკიჯვრის ტყეში კი – არა. რატომ? –დას-ა კითხვა **ილია ჭანუყვაძემ.**

შეხვედრის ორგანიზატორებისგან პასუხის გაუცემლობის გამო მანვე უპასუხა:

– ვაკიჯვრის ტყე უნიკალურია და ამიტომ არ გაიყვანეს აქ გზები და მოერიდნენ ბუნებაში უხეშ ჩარევას. აქ ჰესის აგება არ შეიძლება...

ვაკიჯვრელი **ია ურუშაძე** მეფუტკრეა. საინტერესო აზრი გამოთქვა მან:

– ჩვენთან შესახვედრად არასდროს მოვიდა კომპანიის სათავეში მყოფი ადამიანები. მე არ მინდა დაპირისპირება, არამედ სპეციალისტების მყარი არგუმენტები, რასაც ვერ ვისმენთ. როგორც გავიგეთ, ჯერ შესწავლილი არ ყოფილა გარემო. ვინც ამ დარბაზში ფიქრობს, ჰესი უნდა, მათ აქვთ პიროვნული სარგებელი...

– ხომ არსებობს ალტერნატიული წყაროები. არის ქარის ენერგია, მზის ენერგია. გვინდა რეგიონში ტურისტები შემოვიდნენ, მაგრამ რას ნახავენ, თუკი ბუნებას დავაზიანებთ? – დასვა კითხვა **სოფო ვასაძემ.**

მას შემდეგ, რაც დარბაზში მყოფთაგან უმრავლესობა წავიდა ერთ-ერთმა ვაკიჯვრელმა ქალბატონმა თქვა: ესენი ვაკიჯვრელები არ იყვნენ, ქალაქიდან ამოვიდნენო.

ქ. ოზურგეთიდან მართლაც იყო შეხვედრაზე მოსული რამდენიმე პირი, მაგრამ პროტესტის გამომხატველთა 90 პროცენტი ადგილობრივები იყვნენ.

გიორგი მარგებლაძემ ერთგვარი შედარება გააკეთა „ბახვი 3“ ჰესის და „ნატანები 3“ ჰესის მშენებლობებს შორის.

– სოფელ მთისპირში ჰესის მშენებლობისას სადაწნეო მილსადენი მთის ფერდობზე გაატარეს და ამას საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი ხეები შეეწირა. ქორბუდეში კი ჩვენ მხოლოდ ცაცხვის და თხმელას ხეებს მოვჭრით.

ჩვენს კითხვაზე „ცაცხვი“ უნიკალური ჯიშის ხეა, დავით შარიქაძემ განგვიმარტე, რომ „ცაცხვი“ წითელ წიგნში არაა შეტანილი.

გიორგი მარგებლიძემ ასევე დასმულ კითხვებზე უპასუხა, რომ ჰესის აგების შემდეგ შესაძლოა საკალმახეს და ფუტკარს შეექმნათ პრობლემები.

დარბაზში მყოფი **ირინა მდინარაძემ** რამდენიმეჯერ დასვა კითხვა –რა სარგებელს მისცემდა სოფელს ჰესის მშენებლობა.

შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშენის“ პროექტის მენეჯერმა გასცა მას პასუხი:

– მშენებლობაზე 160-170 კაცი დასაქმდება, საიდანაც 60-70 პროცენტს ადგილობრივებს დავასაქმებთ. ეს მშენებლობა 2 წელს გაგრძელდება, გარდა ამისა, ჩამოყვანილ მუშახელს ხომ დასჭირდება ბინა, კვება, – ესეც სოფლის მცხოვრებლების დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება. ვაკიჯვრელებს , დაახლოებით 250 კომლს 200 კილოვატი ელექტროენერგიას ყოველთვიურად უფასოდ მივაწვდით. თქვენ აყენებთ საკითხს საინიციატივო ჯგუფის შექმნის შესახებ. იქნებ მათ გადაწყვიტონ სოფელში საბავშვო ბაღის ან ბიბლიოთეკის აშენება – გადაწყვეტენ რომელი სიკეთე მიიღონ.

სკოპინგის ანგარიშის განხილვას არასამთავრობო სექტორიც ესწრებოდა. ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრის ოფისის ხელმძღვანელმა **გიგი მახარაძემ** დასვა კითხვა, ჰიდრორესურსთან დაკავშირებით.

– ადრე ზამთარში ვყიდულობდით ელექტროენერგიას, ახლა კი ზაფხულში მკვეთრადაა მომატებული ელექტროენერგიის მოხმარება. მაგალითად, აჭარა, ადრინდელი 60 მეგავატის ნაცვლად, ახლა 130 მეგავატს მოიხმარს. ადრე ზაფხულში, სექტემბრის ჩათვლით ელექტროენერგიას არ ვყიდულობდით, ახლა კი ივლისის თვიდან გვიწევს ელექტროენერგიის შეძენა. ეს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდითაა განპირობებული.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ** დასვა კითხა, რომ რამდენად იქნება იურიდიულად გამყარებული მოსახლეობაზე გაცემული შეპირებები და რა ხანგრძლივობითაა გათვალისწინებული ვაკიჯვრელებისათვის 200 კილოვატი ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდება.

უპასუხეს, რომ ხელშეკრულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმდება. შემდეგ კი ეს ხელშეკრულება ვაკიჯვრელებზე გავრცელდება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ჰესის მოქმედების პერიოდში მუდმივი იქნება . თუმცა არ თქმულა, უფასოდ მიეწოდებათ თუ არა ელექტროენერგია ვაკიჯვრის თემში შემავალ სოფელ ფამფალეთის მოსახლეობას.

მრავალი შეკითხვის შემდეგ შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშენის“ პროექტის მენეჯერმა გიორგი მარგებლიძემ უპასუხა ქეთევან ჟღენტის შეკითხვას, რომ ეს კომპანია **ჰაეტ საევდრიანს** და **ჰაეტ სარქისიანს** ეკუთვნით. თუმცა არ გასცეს კითხვას პასუხი: – რომელ უცხო ქვეყანაში აპირებენ გამომუშავებელი ელექტროენერგიის გაყიდვას.

შეხვედრას არ დაესწრო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ ვაკიჯვრიდან ვახტანგ (ბაჩანა) ნიჟარაძე, თუმცა მას მედიასათან ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ნუგზარ ასათიანი

მარტივი ლოგიკა

თემურ მარშანიშვილი

თემატიკითა და შინაარსით ამ წერილს არაფერი აქვს საერთო პირველი არხის გადაცემასთან „მარტივი ლოგიკა“, გარდა სათაურისა. ის შოუა, მე კი საშოუოდ და საშოვარად ნამდვილად არ მცალია. ან რა დროს შოუ და რა დროს საშოვარია, როდესაც ოცდაათი წელიწადია, თავზე გვექცევა რუსის კლანჭს სიმწრით გამოგლეჯილი ქვეყანა?

მოკლედ, მარტივი ლოგიკით, მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში არც პოლიტიკოსი გვყავს და არც პოლიტიკა გვაქვს. უპოლიტიკოსო და უპოლიტიკო ქვეყანა კი, როგორი თავისუფალი და განვითარებულია, ყველა კარგად ვხედავთ. ასე ვიქნებით, სანამ სიმართლეს თვალს არ გავუსწორებთ, სანამ არ ვიტყვით, რა რა არის და ვინ ვინ არის.

მაინც ვინ მიიყვანა ქვეყანა ჩაუფსკრულებამდე – პოზიციამ, ოპოზიციამ, არასამთავრობო სექტორმა, ხალხმა თუ საგარეო მტრებმა და მეგობრებმა? სამწუხაროდ, ჩამოთვლილთაგან ყველამ, როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე.

პოზიციიდან დავიწყოთ. როგორც დღევანდელისთვის, ისე მისი წინამორბედებისთვის მთავარი იყო და არის არჩევნებიდან არჩევნებამდე ხელისუფლებაში თავის გატანა და არა ქვეყნის მშვიდობიანად მართვა, პოლიტიკურად განმტკიცება, სოციალურად მომჯობინება და ეკონომიკურად მომძლავრება.

„ოცნება“ ხარ თუ „ნაოცნებარი“, რახან კომპრომისზე წადი და კოჰაბიტაცია შემოიღე, კეთილი ინებე და პასუხი აგე იმ შედეგებისთვის, რაც ამ კომპრომისმა და კოჰაბიტაციამ მოიტანა. თავს მოგახვიეს? მაშინ პოლიტიკურად ბეცს და უნიათოს ხელისუფლებაში რა გინდა??? შენ ხალხმა აგირჩია და, უპირველესად, მის წინაშე ხარ ვალდებული, პასუხისმგებელიც და არა „დემოკრატიის მამად“ ხმობილი ზესახელმწიფოს რომელიმე პოლიტიკური შტოს, ორიენტაციააღრეული ერთ-ერთი ევროპული პარტიის, ან სულაც ოკუპანტი მეზობლის წინაშე. კორუფციასა და პირად ბიზნესებს არ უნდა გადააყოლო ქვეყანა; ბატონი შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს, აქლემის ქურდს არ უნდა მისცე უფლება, ნემსის ქურდს შეხვდეს და ციხეში გაგზავნოს; ისეთი რბილი არ უნდა იყო, ოპოზიცია, როცა მოუნდება, პლასტელინივით გზელდეს; სიტყვას საქმე უნდა მოაყოლო და არა მეორე სიტყვა, მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი პირველის ანტიპოდია.

ახლა, ასევე მარტივი ლოგიკით, ოპოზიციასაც გადავხედოთ ანალოგიური რაკურსით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება ე. წ. „მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ“ „ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დღეს წაგო არჩევნები და არა 2012 წელს. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციურზე უფრო, მესაბოტაჟე პარტიაა, რომელიც, ზემოთ ნახსენები კოჰაბიტაციის ფონზე, მზარდი დოზით დამანგრეველ გავლენას ახდენდა და ახდენს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსზე. თითქმის ნებისმიერ სამინისტროში თუ უწყებაში, „როზოვის „შეუცვლელებივით“, დღესაც სხედან „სავარძელგაუცივებელი“ ან „გაოცნებული“ „ნაციონალები“, რომლებიც აკეთებენ იმას, რაც მათ „მაღალს“ მოეპრიანება. მათი მიზანია ნებისმიერი გზით ხელისუფლებაში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში თუნდაც წყალს წაუღია მთელი ქვეყანა, კისერი უტეხია ხალხსა და სხვა პარტიებს. „სისხლიანი რეჟიმის“ ავტორებმა და თანაავტორებმა ლამის ფრთები შეისხან და მხსნელ ანგელოზებად მოევლინონ მათგან არაერთგზის დამცირებულ ხალხს და გათელილ ქვეყანას. ხელწერა ერთია: „კმარა“ „გაბედე“ ჩაანაცვლა. მას სატელიტი, პარლამენტში მოხვედრის მსურველი პარტიებიც აეტმასნენ და სამართალს ეძებენ თავის დროზე მათი ქმედებით სამართალდაკარგულ და სახელისუფლებო პარტიის მიერ სამართალაღუდგენელ ქვეყანაში.

ერთადერთი „პატრიოტთა ალიანსი“ ტოვებს ამ ეტაპზე ნორმალური პოლიტიკური პარტიის შთაბეჭდილებას. ესეც მარტივი ლოგიკიდან გამომდინარეობს და ვინმემ ამ პარტიისადმი სიმპათიის გამოვლენაში არ ჩამითვალოს.

ერთი სიტყვით, ქვეყანა პოზიციისა და ოპოზიციის ომს ეწირება, ომს, რომელშიც მართალი მხარე არ არსებობს. თუ სიმართლე გინდათ, ორივეს თავს გაუვიდათ. ორივე ხალხს დასცილდა და ორივე ჯიუტად ხალხის სახელით ლაპარაკობს. სიტუაცია იმდენად დაძაბულია, ფეისბუკს თუ დაეჯერება, აგერ ქალბატონმა ლელა კაკურიაც კი იწინასწარმეტყველა ქართველების გაქრობა.

არასამთავრობო ორგანიზაციების დროც მოვიდა „მარტივ ლოგიკაში“. მათი უმეტესობა ხომ 2012 წელს არის დაარსებული და დარეგისტრირებული, როდესაც ქვეყნის მაშინდელმა, ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნებში თავისი პარტიის დამარცხება აღიარა და თანაპარტიელებს, რომლებსაც ხელისულებაში დარჩენის შანსი აღარ ჰქონდათ, მოუწოდა, შეექმნათ არასამთავრობო ორგანიზაციები და იქედან ეფიქრათ და ემოქმედათ რევანშის აღებაზე. აქედან გამომდინარე, აღარ მიკვირს არასამთავრობო სექტორის გარკვეული ნაწილის წიოკი განსაკუთრებით „გამოხატვის თავისუფლებაზე“.

ხალხსაც გადავხედოთ ახლა, ორად გახლეჩილ, ერთმანეთისადმი სიძულვილით დაძეძგილ, პოლიტიკური სიმსივნით დაავადებულ ხალხს, რომელმაც წალეკა სოციალური ქსელი პოლიტიკურ თემაზე შიჟოფრენიული გამოხტომებით. მანამდე წუთი დაკარგეთ დანახეთ ერთი, რას წერს ფეისბუკში ლევან გოგირიძე სამშობლოსათვის თავდადებულ მებ-რძოლზე:

„ამას რატომ არავინ აზიარებს? მოღალატე იყო? ავნო რამე თავის სამშობლოს? თუ რამე ისეთი დაეშავა, რაც სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრაში არ მოდიოდა?!

ჯარისკაცი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ყველა ომში წინა ხაზზე იბრძოდა, სამხედრო სასაფლაოზე არ დაკრძალეს, არც ღირსეული პატივი მიაგეს მის სულს?

ქედს ვიხრით ვიცე-პოლკოვნიკ გია ცერცვაძის და მისი ოჯახის წინაშე! ეს ვაჟკაცები ყოველთვის იამაყებენ გმირი მამის შვილობით“ (დაკრძალვის ცერემონიალის დროს გადაღებულ სურათზე ბატონი გიას ვაჟები ჩანან).

სამი კითხვა მაქვს მხოლოდ ხალხთან: ვინაც ნახეთ ეს სტატუსი და არ გაგიზიარებიათ, სინდისის ძარღვი არ შეგტოკებიათ მაინც? თუ სხვისი მკვდარი დაძინებული გგონიათ? რამ დაგავიწყათ, რომ „ათას ცოცხალსა ზოგჯერა ასჯერ ჯობს ერთი მკვდარია?

ხალხი ხართ და ბრბოდ ნუ იქცევით. ყველას ერთ ტაფაზე არ გსვამთ, მაგრამ რომ არა თქვენი დაბალი სახელმწიფოებრივი აზროვნება, ეს პოლიტიკური პარტიები ასე ვერ გაჯეჯილდებოდნენ. ვიცი, რომ ერთ დღეს იხუვლებთ და, თუ ჭკუას არ მოუხმობენ, ხელისუფლებიდანაც მოისვრით და ოპოზიციური ველიდანაც ამ უკანალმოსვრილ პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას თუ რევოლუციას გადაიტანს ეს გაძვალტყავებული ქვეყანა?

და ბოლოს, რუსი რომ რუსობას, ანუ ოკუპანტობას არ იშლის, ამას კარგად ვხედავთ, მაგრამ ევროპა, ოკეანისგაღმეთი და წრედ შემორტყმული მეზობლებიც, თავიანთი პოლიტიკით, არ გვაგდებენ ზოგჯერ დიდად კარგ დღეში. დაგვამძიმა თქვენმა აღშფოთება-შეშფოთებამ. მართლა რა გვჭირს ამდენი ჭკუის სასწავლებელი?! ზოგიერთი ცივილიზებული ერებისაგან განსხვავებით, ქალი და კაცი მაინც არ გვერევა ერთმანეთში. თუ გვჭირს, არ ვყოფილვართ მაშინ სახელწიფოებრიობის ღირსი. სული დაითქვით და საშინაო საქმეებში ნუ ჩაგვერევით, ბატონებო, თხოვნაა ასეთი. გავარკვევთ როგორმე უთქვენოდ, ვინ იყოს ხელისუფლებაში და ვინ ოპოზიციაში როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით აწიოკებულ ამ სულთმობრძავ ქვეყანაში.

ოზურგეთელი დამწყები მხატვრები თბილისში მოწყობილ გამოფენაზე სიგელებით დაჯილდოვდნენ

ალიონი. 30 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლაში მოეწყო რესპუბლიკური გამოფენა „მშობლიურო ჩემო მიწავ - 2019“, რომელშიც მონაწილეობდა ოზურგეთის სამხატვრო სკოლის 10 მოსწავლე: ესე გურგენიძე, ნია ბაკურაძე, მარიამ მამინაშვილი, ნინო ლომჯარია, ელენე ჯინჭარაძე, შალვა ზედგინიძე, საბა დარჩია, სალომე ჩიტაიშვილი, მარიამ ანდღულაძე, საბა ევგენიძე. ათივე ოზურგეთელი დამწყები მხატვარი სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ქ. ბარნაბიშვილმა სიგელებით დააჯილდოვა.

გამოფენით, სახვითი ხელოვნების მრავალი სპეციალისტი და გულშემატკივარი დაინტერესდა.

„მე ფშავლის ქალი“

ალიონი. ავტორი ლექსთა კრებულისა „მე ფშავლის ქალი“, პოეტი ნინო უძილაური გასულ პარასკევს, 6 დეკემბერს ოზურგეთს სტუმრობდა. შეხვედრა ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შედგა. გურული პოეზიის მუყვარულები დეკემბრის სუსხს არ შეუშინდნენ და პოეტს, რომელსაც ფესვები ფშავში აქვს და კახეთში, კერძოდ, ყვარელშია დაბადებული და გაზრდილი, მისთვის გასაოცრად სავსე დარბაზი დაახვედრეს და უძილაურის პოეზიაზე ისეთი ტემპერამენტიანი შეჯიბრი გააჩაღეს, იმდენი სითბო დაღვარეს, ისეთი სიყვარული გამოხატეს, რომ ძილი თუ უძილობა აღარავის ახსოვდა. როგორც ასეთ საღამოებზე ხდება ხოლმე, ყველა განიმუხტა და ყველა დაიმუხტა, ყველა დაიცალა და ყველა შეივსო.

„ისტორია გადაფურცლავს კიდევ ერთხელ და ათასჯერ, ჩემს ნაფიქრალს, მეც თუ დავწერ, გინდ იკითხეთ, გინდ განსაჯეთ“, – ამბობს ერთ-ერთ ლექსში უძილაურის ქალი, რომლის ახალ, რიგით მეოთხე წიგნს, სახელწოდებით „მარადისი“, მალე იხილავს მკით-ხველი.

ვაანონსებთ, რომ „ლიტერატურული გურიას“ მორიგ ნომერში, რომელიც ახალი წლის წინა დღეებში გამოვა, რუბრიკით „სტუმარი“ ნინო უძილაურის რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდება.

ოზურგეთის თეატრი აზერბაიჯანში გასტროლზე გაემგზავრა

ვასო ჩიგ-ოგიძე: „6 დეკემბერს ოზურგეთის თეატრი მიემგზავრება აზერბაიჯანში, ქალაქ განჯაში, სადაც განჯის სახელმწიფო თეატრში, რომელთანაც მეგობრობა გვაკავშირებს და ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული, ვითამაშებთ 3 სპექტაკლს. მათ შორის, ბავშვებისთვის-„პეპი გრძელიწინდას“ და ორ სპექტაკლს უფროსებისათვის „ფიროსმანს“ და „წერილი ლიას“. ორივე სპექტაკლის რეჟისორია ელენე მაცხონაშვილი. სპექტაკლში გამოყენებულია თოჯინებიც. ჩვენი მსახიობები სპეციალურად ამ სპექტაკლებისათვის დაეუფლნენ თოჯინების მართვის ხელოვნებას. ამ სპექტაკლებს ვითამაშებთ ერთ საღამოს, მცირე შესვენებით. „პეპი გრძელიწ-ინდას ვითამაშებთ სამჯერ. გასტროლი სამდღიანია. განჯა ისტორიული ქალაქია და ვგეგმავთ მის მონახულებას. განჯის თეატრი ჩვენი მეგობარი თეატრია, სამომავლოდ, ჩვენც მოვიწვევთ მათ ჩვენს თეატრში, განახლებულ შენობაში. 2019 წლის საგასტროლო ტურნეს ამ გასტროლით დავხურავთ. საახალწლოდ, დეკემბრის ბოლოსათვის ვემზადებით შოუ პროგრამისათვის სპექტაკლით „შობის ჯადოსნური ღამე“

ოთხი ოქრო ჩვენია !

ალიონი. მცხეთაში ტაეკვანდოში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა.

სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა, ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა მიიღეს.

ოზურგეთელმა ჭაბუკებმა ჩემპიონატში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და წონით კატეგორიაში იასპარეზეს და შეჯიბრიდან 4 ოქროს მედალი ჩამოიტანეს.

ანდრია მჟავია - 8 წლის 25 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი

ზაზა ზოიძე - 12 წლის 30 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი

თეიმურაზ ბუცხრიკიძე - 14 წლის 45კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი

ლუკა ბუცხრიკიძე - 7 წლის 25 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი გუნდი ასპარზობისათვის გიორგი ბერიძემ მოამზადა.

"რეზონანსი" - რა ელის მიწებს, რომელსაც არავინ დაირეგისტრირებს?



მიწის გამარტივებული რეგისტრაცია 2022 წლამდე გადაიდო. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა არსებული რეფორმის ვადის გადაწევა ხდება და კვლავ უცნობია, ამ დროშიც მოესწრება თუ ვერა ბოლომდე დარეგისტრირება. ასევე ღიად დარჩა საკითხი, ვადის ამოწურვის შემდეგ, დაურეგისტრირებელ მიწებს საკუთარ ბალანსზე გადაიტანს თუ არა სახელმწიფო.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ამიერიდან მიწის რეგისტრაციას საქართველოს მოქალაქეები კიდევ უფრო მარტივად შეძლებენ. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მთავრობამ 7 ნოემბერს დაამტკიცა. პაკეტი მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა წარადგინა.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესი, რომელიც 2020 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედებს, გახდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ზოგადი წესი და იმოქმედებს უვადოდ.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში შემუშავებული გამარტივებული წესის დანერგვა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაციის პროცესის დასრულებას შეუწყობს ხელს. ეს, ერთი მხრივ, დაიცავს მესაკუთრეთა უფლებებს, მეორე მხრივ კი, დაეხმარება მთავრობას, შეიმუშაოს სოციალური პროექტები, წარმართოს მიწის ადმინისტრირებისა და მიწათსარგებლობის ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის სექტორებში. რეგისტრაცია კვლავინდებურად იწარმოებს ორი სახით: სპორადული და სისტემური წესით. რა იცვლება, რა მარტივდება და რა იქნება 2022 წლის შედეგ, ასევე რატომ ვერ მოახერხა სახელმწიფომ მიწის სპორადული რეგისტრაციის დასრულება წლების განმავლობაში და შეძლებს თუ ვერა მომდევნო 2 წელიწადში პრობლემის გადაწყვეტას? ახლა, ეს კითხვები ისმის როგორც თავად იუსტიციის სამინისტროს, ასევე საკანონმდებლო ორგანოს მიმართაც, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრირების წესს პერიოდულად ცვლის. ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის თანადამფუძნებელი მათე გარდავა ამბობს, რომ გარდა მკაცრი და გაბერილი ბიუროკრატიისა, მიწის რეგისტრაციას ხელი შეუშალა, საბაზრო ფასმაც. სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწის ფასი იმდენად მცირეა, რომ მოსახლეობას აზომვის ფულის გადახდაც კი არ უღირს.

„დეტალურად არც მთავრობას უსაუბრია როგორ გამარტივდება პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა უკვე წლებია მიმდინარეობს, როგორც ჩანს, მაინც ასე მარტივი არ იყო. ხელის შემშლელი ფაქტორები თითქოს ცოტაა, მაგრამ მაინც ძალიან ნელა წარიმართა პროცესი. თითქოს სახელმწიფო მზად იყო რეგისტრირებისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, შემაფერხებელ ფაქტორად იქცა ბიუროკრატია.

ბუნებრივია, სპორადული ნაწილის დასრულების შედეგ, სახელმწიფოს დარჩება ბევრი მიწა. აქ საუბარია იმ ნაკვეთების რეგისტრაციაზე, რომელიც გადაცემული იყო 90-იან წლებში მოქალაქეებზე და ის არ არის აღრიცხული თანამედროვე რეესტრში. ასევე ის მიწები, რომლებზეც აღიარების პრობლემაა. ორივეს რაოდენობა საკმაოდ დიდია. ამიტომ სახელმწიფოს დარჩება დიდი ოდენობით მიწა ამის შემდეგ; ანუ ყველამ, ვისაც კი რამე დოკუმენტი აქვს, მიწა რომ დაირეგისტრიროს, კერძო ნაკვეთების წილი ამით მნიშვნელოვნად მაინც ვერ გაიზრდება.

რეგისტრაციის გაჭიანურების მიზეზი, ზოგადად მხოლოდ სახელმწიფო არ არის. პრობლემაა ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი ძალიან დაბალია და მოქალაქეებს არ უღირთ აზომვის მინიმალური ღირებულების გადახდა და დროის ხარჯვა", - განუცხადა „რეზონანსს" გარდავამ.

გარდა რეგისტრაციის პროცედურებისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე თუ ვის ბალანსზე იქნება მიწა, რომლის დარეგისტრირებაც ახალი ვადის ამოწურვის შემდეგაც არ მოხდება. საკითხი მთავრობის სხდომაზე დღეს ღიად დარჩა. ზოგადი შეფასება კი პრემიერმა გახარიამ გააკეთა.

"მიწის რეგისტრაციის პრობლემის მოგვარება უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და მიწას ფლობენ. გარდა ამისა, მიწის რეგისტრაციის მოგვარება ეკონომიკისთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია", - აღნიშნა პრემიერმა.

პროფესორი ჯუმბერ ფანჩულიძე მიიჩნევს, რომ მიწის რეგისტრაციის ვადის გადაწევა, მთავრობის მხრიდან საქმისა და დაპირებების აცდენამ გამოიწვია. ახალი ცვლილებები ნამდვილად არის გამარტივებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, შესაბამისად, სამომავლოდ ყველამ უნდა შეძლოს მიწების დაკანონება.

„სისტემურის დანერგვა არის ახლა მთავარი საკითხი. ის, რომ სპორადული რეგისტრაციის ვადამ არაერთხელ გადაიწია მთავრობის მხრიდან ერთის საუბარმა და მეორეს კეთებამ გამოიწვია. ყველამ ვიცით, რომ ხელოვნური ბარიერები არსებობდა. რეგისტრაციის პროცესი დღემდე მხოლოდ უფასო იყო და არა გამარტივებული.

ახალ ცვლილებებში კი გამარტივებაზე ნამდვილად არის საუბარი. საადგილმამულო წიგნები ვისაც აქვს, ისინი შეძლებენ რეგისტირებას, ასევე საბაღე ნაკვეთების დარიგებული მოწმობების უფლებადამდგენ დოკუმენტად მიჩნევაც მნიშვნელოვანია. ძალიან კარგი იქნება, თუ რეალურად პრაქტიკაშიც ისე განხორციელდა ყველაფერი, რაზეც მინისტრმა დღეს ისაუბრა", - განუცხადა „რეზონანსს" ფანჩულიძემ.

იუსტიციი სამინისტროს ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც გამარტივებული წესი დაინერგა, 738 483 მიწის ნაკვეთი დაარეგისტრირდა საკუთრებად.

"რეზონანსი"

კაკალა მახარაძე - ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი პიროვნებები

იცნობდით კაკალა მახარაძეს? გაგიგონიათ მისი სახელი და გვარი?

თავდაპირველად ასე გეტყვით: ეს იყო ქალი - წიგნის მოყვარული კი არა, წიგნზე შეყვარებული.

დაიბადა 1921 წლის 15 სექტემბერს ულამაზეს სოფელ გონებისკარში (შემოქმედის თემი). აქვე მიიღო დაწყებითი განათლება, მერე იყო შემოქმედის საშუალო სკოლა, მახარაძის პედაგოგიური ტექნიკუმი.

ბევრისმთქმელია 1940 წელი - მუშაობა საქალაქო ბიბლიოთეკაში, 9 წელი წიგნებთან გაატარა.თავად ხომ კითხულობდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ წიგნების სიყვარული სხვებსაც „დაუმთავრებელ სენად“ გადასდო.

1948 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1950 წლის მაისში გადაიყვანეს კომკავშირის რაიკომში მერე კი - მეორე მდივნად. შემდეგ პარტიული სკოლაც დაამთავრა, ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ საკუთარი კორესპოდენტიც იყო.

1954-1960 წლებში მუშაობდა მახარაძის კულტურის სახლის დირექტორად.

მისთვის დაუვიწყარი გახდა 1960 წლის 12 მაისი, როცა იგი„ საქწიგნის“ მაღაზიის გამგედ დანიშნა. დაუბრუნდა თავის საყვარელ წიგნებს და წიგნის მოყვარულთა სამსახურში სიცოცხლის ბოლომდე იდგა.

კეთილშობილი კაკალა მახარაძე, გამორჩეული ადამიანური თვისებებით, როგორც ამბობენ, დიდთან დიდი იყო და პატარათან - პატარა.

ალბათ, იკითხავთ.ასეთი კარგი თვისებების ადამიანს ნაკლი არაფერი ჰქონდაო?

ჰქონდა! თანაც ყველასაგან გამოსარჩევი-იცოდა ,ვინ იყო წიგნის განსაკუთრებულად მოყვარული (ზოგი რომ წიგნს დღესაც თაროს გალამაზებისთვის ყიდულობს!). მიიღებდა თუ არა წიგნს, მაშინვე „გადაინახავდა“, მერე აწკიალდებოდა ტელეფონი და გავრბოდით „საქწიგნის“ მაღაზიაში, იქ ხომ ქალბატონი კაკალა ახალი წიგნებით გველოდა.

კაკალა მახარაძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო

იყო ლამაზი ოჯახის დაისახლისი, ბატონი ანდრო ხინთიბიძის გამორჩეული, მზრუნველი. მეუღლე.

საფიცრად ჰყავდა ძმა-იაშა მახარაძე, რესპუბლიკაში ცნობილი პროკურორი და ქალიშვილი-ლალი ხინთიბიძე-პროფესიით ექიმი.

უდიდესი ტკივილი მიაყენა -1888 წელმა, როცა „კაკალას წიგნის მაღაზია“(ასე ვეძახოდით) დაიწვა. ვიდექით, ვუცქერდით, როგორ იფერფლებოდა ცოდნის დიდი წყაროწიგნი. კაკალას ამის გახსენებაც კი უდიდეს სევდას გვრიდა. „საქწიგნის“ მაღაზია ორჯონიკიძის (დღევანდელი ჭავჭავაძის) ქუჩაზე გადაიტანეს. იქაც ჩვეულებრივ შემართებით განაგრძო თავისი საყვარელი საქმე - წიგნის გაყიდვა-გაჩუქება.

ერთი ჩემი მეგობრის სიტყვებით, საოცრად შვენოდნენ ერთმანეთს პიროვნება კაკალა მახარაძე და ქალაქი მახარაძე.

ვინც მას ვიცნობდით, ახლაც სითბოთი და მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ.

ნათელი მის ხსოვნას.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს კაკალასნაირი ქალები!

მანანა ლომაძე.

„ქართული პოეზიის მეციხოვნეებმა“ სოფელ შრომის საჯარო სკოლაში შოთა ნიშნიანიძისა და მუხრან მაჭავარიანის შედევრები დააგუგუნეს

თემურ მარშანიშვილი

გასულ ოთხშაბათს, 4 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურულმა სალონმა ქართველი თვალსაჩინო პოეტების **შოთა ნიშნიანიძისა** და **მუხრან მაჭავარიანის** დაბადებიდან 90 წელი აღნიშნეს და ამ ქართველი კლასიკოსი პოეტების შედევრები დააგუგუნეს.

ხსენებულ ლიტერატურულ სალონში გაწვრიანებული მოსწავლეები განაგრძობენ საზოგადოების გაოცებას. ღონისძიება ღონისძიებას ცვლის და ყოველი მომდევნო – აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია, უფრო ღრმაა, ფილოსოფიურობამდე აყვანილია, რაც მთავარია, ნატურალურია, ყოველგვარი „პარფიუმერიის“ გამოყენების გარეშე. იქედან გამომდინარე, რომ პირადად ვიცნობ სკოლის დირექტორს, ქალბატონ **რუსუდან ცეცხლაძეს,** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ლიტერატურული სალონის რამდენიმე მოსწავლეს, სულაც არ მიკვირს, რომ შრომის საჯარო სკოლაში და მთლიანად სოფელში ასე უყვართ ქართული პოეზია.

არ მინდა, ამ ბავშვებს მისხალიც რომ დავუკარგო და შევეცდები, სათითაოდ წარმოვაჩინო მათი წვლილი პოეზიის თეატრში სახელწოდებით „ქართული პოეზიის მეციხოვნენი“:

ქრონოლოგიურად განვითარებადი პროგრამის ექსპოზიციაში მეათეკლასელმა **მაგდა ცირდავამ** აღავლინა ლოცვა სწავლის დაწყების წინ. შთამბეჭდავი გამოდგა მეთერთმეტეკლასელ **თეა ჩხაიძის** შესავალი სიტყვა „დიდი ადამიანების ბედი“, რასაც მოჰყვა საინტერესო ვიზუალური ინტერნეტ-მასალა შოთა ნიშნიანიძეზე.

ნიშნიანიძების წარმოშობაზე, პოეტის ცხოვრების გზაზე ვრცლად ისაუბრა მეთერთმეტეკლასელმა **ბადრი ბარბაქაძემ.** დამსწრე საზოგადოებას მოგონებებიდან ამონარიდები გააცნეს მეთერთმეტეკლასელმა მოსწავლეებმა **ნინო მერაბიშვილმა** და **ვიკა აკოფიანმა.**

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე პერსონალური ავტორეფერატები წარმოადგინეს მერვეკლასელმა **ერეკლე ჯაშმა** და მეთერთმეტე კლასელმა **მარიამ ტულუშმა.**

პოეტის ლექსები წაიკითხეს: მეშვიდეკლასელმა **ლევან ბოლქვაძემ** („მე ვარ მისანი ხარი წიქარა“); მეექვსეკლასელმა **საბა კაჭარავამ** („ზედაზენი“); მეექვსეკლასელმა **ლუკა ცინარიძემ** („ვახტანგ მეფე“); მეექვსეკლასელმა **ავთო ხომერიკმა** („იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“); მეექვსეკლასელმა **ავთო ჩხიტუნიძემ** („გიხაროდეს „კაფე თესე“); მეექვსეკლასელმა **ლუკა ხომერიკმა** („ცოტნე დადიანი“); მეშვიდეკლასელმა **ქეთი მოსახლიშვილმა** („შეიბ მახვილი“); მეათეკლასელმა **სალომე ხომერიკმა** („ციხეტაძართა საგალობელი“); მეათეკლასელმა **ნათია ტყემალაძემ** („მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“); მეათეკლასელმა **ლიზი ჩანჩიბაძემ** („თევდორე“); მერვეკლასელმა **ლაშა ბარამიძემ** („ბიჭი რომ ვიყავ პატარა“); მეათეკლასელმა **მაგდა ცირდავამ** („ბავშვები“); **ანანო ჩხიტურიძემ** და საბა **დავაძემ** („ნისლით დაკაწრული“); მეათეკლასელმა **ნინო ხომერიკმა** („როცა მე გარდავიცვალე“).

ღონისძიებაში „სატრფიალოთი“ ჩაერთო სკოლის მეჩონგურეთა ანსამბლი „ოცნება“ (ხელმძღანელი – **ნინო ჩხაიძე**).

მუხრან მაჭავარიანის პოეზია ვიდეოკოლაჟით გაიხსნა, რომელშიც პოეტი კითხულობს საკუთარ ლექსებს. შემდეგ დიდი მუხრანზე ნაშრომები წარმოადგინეს: მეთერთმეტეკლასელმა **თეა ჩხაიძემ** („ჩემი ბავშვობა“ – მ. მაჭავარიანის ცხოვრების გზა); მეთერთმეტეკლასელმა **ანანო ჩხაიძემ** („მუხრანი დედამ დაარქვა“! – მოგონება მ. მაჭავარიანზე, ამონარიდი)

პოეტის ლექსები წაიკითხეს: მეშვიდეკლასელმა **გიორგი აკოფიანმა** („ღელე ჩემი და ვაშლები ჩემი“); მეორეკლასელმა **თემურ ხომერიკმა** („თუ გული გაქვს“); მეორეკლასელებმა **ნუცა ხვედელიძემ** და **დიტო სარქისიანმა** („გამარჯობა, როგორა ხარ?“); მეორეკლასელმა **ნიკოლოზ ჯულაყიძემ** („იყოს კურთხეულ“); მეოთხეკლასელმა **ცოტნე გუჯაბიძემ** („სისხლად მიმოდის დღეს ჩემი იგი“); **გიორგი ბოლქვაძემ** და **დათო ხვედელიძემ** („მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“); მეხუთეკლასელმა **თომა მოსახლიშვილმა** („თუ კაცია“); **ანი ხვდელიძემ** („აღტაცება თუ გინდა“); მეშვიდეკლასელმა **სალომე კეჭაღმაძემ** („საგაზაფხულო“); **მარიამ ბარბაქაძემ** („მრავალჭირგადანახადი“); მეათეკლასელმა **ინა ჩიქოვანმა** („რაშია საქმე?!“); მესამე კლასელმა **მარიამ ხომერიკმა** („ღმერთკაცი“); მეთერთმეტეკლასელმა **ანა კუბუსიძემ** („ტა... ტა... ტა!“); მეთერთმეტეკლასელმა **ანა ფუტკარაძემ** („შენ სისხლო ჩემო“); მეთერთმეტეკლასელმა **მარიამ ტულუშმა** („საბა“); მეთერთმეტეკლასელმა **ბადრი ბარბაქაძემ** („საბა საქართველომ სად არ ატარა“); მეათეკლასელმა **ანა კახიძემ** („ანდუყაფარო, ლიპარიტო“...); მეთორმეტეკლასელმა **ლუკა ასანიძემ** („ამერ-იმერი“).

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე თავიანთი ავტორეფერატები გაგვაცნეს მეთორმეტეკლასელმა **ლუკა ასანიძემ** და მეთერთმეტეკლასელმა **ანანო ჩხაიძემ.**

ლუკა ხომერიკმა ხატოვნად ამოთქვა მორის ფოცხიშვილის ლექსი „მუხრან მაჭავარიანს“.

მუხრანის შედევრთა შედევრი „ვითარცა მტკვარი“ წაუკითხა დარბაზს მეთერთმეტეკლასელმა **თეა ჩხაიძემ.**

და ბოლოს, ლოცვა სწავლის დასრულების შემდეგ აღავლინა მეთერთმეტეკლასელმა **ვიკა აკოფიანმა.**

ნინო ხლაპუსტოვი

40 დღე გავიდა ჩვენი ნინოს გარდაცვალებიდან და ვერადავერ შევეჩვიეთ მის გარეშე ყოფნას.ხშირად ვსაუბრობთ, ვიხსენებთ მის ნათქვამ ფრაზებს,ზოგჯერ გვეღიმება,ხანაც ცრემლი მოგვადგება თვალზე,მაგრამ არაფერი იცვლება ამითის ჩვენთან აღარ არის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ნინოს სუფთა და ლამაზი სული.

ოზურგეთის მუს.სკოლის
დირექცია და პედ.კოლექტივი



შვილები ნანა, ნიკო (სპარტაკი); შვილიშვილები: ნინო, თამარ, ვანო მოსეშვილები; ბექა შიკაშუა; ამირან მამულაიშვილი; რძალი მერი ლეთოდიანი; სიძე რევაზ ჩიკაშუა; და ოფელია მამულაიშვილი; დისშვილები, ძმისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან **ამირან ბიჭიკოს ძე მამულაიშვილის** გარდაცვალებას.



ბაილეთის საჯარო სკოლა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი მუშაკის, ამადგარი პიროვნების, სოფლის კოლორიტის ბატონი **ამირან მამულაიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყებია დამსახურებული პიროვნების, სოფლის კოლორიტის, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი თანამშრომლის **ამირან მამულაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყებია დამსახურებული პიროვნების, ანსამბლ „შვიდკაცას“ სოლისტის **თენგიზ გოლიაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბ „იადონის“ ხელ-მძღვანელი და წევრები გულისტკ-ივილით აღნიშნავენ, რომ გარდაიცვალა ოზურგეთის გურული ხალხური სიმრერების პირველი სკოლის კურსდამთავრებული, ანსამბლ „იადონის“ყოფილი სოლისტი, ხალხური სიმღერების ლოტბარი, ბელორუსიისა და საქართველოს ფესტივალების ლაურეატი, **მიხეილ (მირაო) მელიტონის ძე ჯაბუა** და ანსამბლ „იადონის“ მთელი სემადგენლობა თანაუგრძნობენ მეუღლესა და შვილს ამ დიდ დანაკლისს.

განცხადებები

შევიძენ ნიგვზის (კაკლის) და მუხის მასალას. ტელ. 599 73 31 32

სასწრაფოდ იყიდება ორსართულიანი, გარემონტებული კაპიტალური სახლი თავისი მიწის ნაკვეთით, ავტოფარეხით, ტექნიკით, ავეჯით ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე. მსურველები დაგვიკავშირდით: (595) 62 62 12 ან (591) 15 57 57.

სკანვორდი



№ 42-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — იოსებ გრიშაშვილი; მამაკაცის სახელი — კლიმენტი; ქმრის მამა — მამამთილი; ცეცხლის ენა — ალი; შეძახილი — ოპლა; ჭკუიდან გადასული — შეშლილი; მდინარე პოლონეთში — ვისლა; ქალის სახელი — ლილი; ძვირფასი თვალი — ლალი; სამკურნალწამლო საშუალება — წამალი; უდიდესი მდინარე — ნილოსი; ბერძენი მილიარდერი — ონასისი; ქართული მხედრული სიმღერა — შავლეგო; გაუმჯობესებული ნავთის სანათებელი — ლამპა; უგონო მდგომარეობა — აგონია; გაზაფხულის ყვავილი — ენძელა; რაშიც ხშირად იძირებიან — ჭაობი; ქალაქი თურქეთში — ართვინი; ჭაობის მცენარე — ისლი; ეროვნება — ოსი; მწვანედ შენახული, დაკეპილი ბალახი — სილოსი; კარადა — გარდერობი; ჯუჯა ცხენი — ერგე; ფრანგი ქართველოლოგი — ბროსე; ერთგვარი გამოცანა — რებუსი; საჭაპანო ცხოველი — აქლემი; ღამის ნათება — ციალი; ლეონარდოს შედევრი — ჯოკონდა; ქვასროლია ბიჭი — სესე; მტაცებელი ფრინველი — ქორი; ლიტერატურული ჟანრი — ესსე; დიახ — კი; ქალაქი საფრანგეთში — ლიონი; სასეირო სანახაობა — სეირი; ერთუჯრედიანი არსება — ამება; საგრილებელი — მარაო.

საჩოგბურთო სექციის 2019 წელი

დასასრულს უახლოვდება 2019 წელი,რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულ საჩოგბურთო სექციისთვის და ასევე ოზურგეთელი ჩოგბურთის მოყვარულთათვის საკმაოდ მრავალფეროვანი გამოდგა.აღსანიშნავია ,რომ მთელი წლის განმავლობაში ჩოგბურთით დაინტერესების სურვილი, ოთხმოცამდე ოზურგეთელმა მოზარდმა გამოთქვა.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის,ბატონ გელა შაფაქიძის თანადგომით საჩოგბურთო სექციის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ,როგორც ადგილობრივ ,ისე საქალაქთაშორისო ტურნირებში.

მაღალ დონეზე იასპარეზეს საბა მახარაძემ,მანუჩარ სადრაძემ და იოანე კონტრიძემ.ქობათუმში გამართულ ტურნირებში საპრიზო ადგილები დაიკავეს დაკა სადრაძემ და კახა მჟავიამ. ოზურგეთელმა ჩოგბურთელებმა რამდენჯერმე მოახერხეს საზღვარგარეთის ქვეყნების საჩოგბურთო სკოლის წარმომადგენელთა დამარცხებაც.

ბავშვთა ტურნირების გარდა გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს ასევე ტურნირები იმ თაობის მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია საჩოგბურთო ამინდს ქმნის ოზურგეთის სინამდვილეში .2019 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას თასის გათამაშებას, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გურიის სამმართველოს უფროსმა, გელა ბაქანიძემ ფინალისტებსა და ტურნირის მონაწილეებს სპეციალური პრიზები პირადად გადასცა.ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პირველობა,როგორც ერთეულთა ასევე წყვილთა თანრიგში.

პოპულარობით სარგებლობს ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირი „ცოლიკოურის თასი რომელსაც 2019 წელს სპონსორობა კომპანია „ვაკეკვერის კალმასმა გაუწია. საჩოგბურთო სექციის წარმატებულ აღსაზრდელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების მიერ დაწესებული საჩუქრები, ახალი ჩოგნები გადაეცათ.წლის მიწურულს მოყვარულ ჩოგბურთელთა ურთიერთთანადგომით მოხერხდა ტურნირებისა თუ ვარჯიშებისთვის ახალი საჩოგბურთო ბადის შეძენა.საჩოგბურთო სექციის მწვრთნელები,მამუკა კილაძე, დავით თავართქილაძე და გივი სიამაშვილი იმედოვნებენ,რომ შორს აღარ არის ის დრო,როცა ოზურგეთს თანამედროვე ხარისხის კორტები ექნება. წინ მორიგი გამოწვევებია.

ეს ყველა მძღოლმა უნდა წაიკითხოს - ახალი კანონპროექტით სანქციები ყველა მიმართულებით მკაცრდება და ჯარიმები იზრდება

იმთვრალისთვის 1 წლის განმავლობაში ორჯერ დაჯარიმების შემთხვევაში მძღოლს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება;

სანქციები მკაცრდება და იზრ-დება ჯარიმები მანქანის მართვისას მობილურის გამოყენებისა და სიჩქარის გადაჭარბებისთვის; ცალკე სამართალდარღვევად განისაზღვრა ავარიის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მიტოვება... ჯარიმები იმატებს ქვეითად მოსიარულეების მიერ მოძრაობის წესების დარღვევისთვისაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომზადებული აქვს ცვლილებათა პაკეტი,რომელიც პარლამენტს ახლო მომავალში განსახილველად წარედგინება. ძალოვან უწყებას გადაწყვეტილი აქვს კანონდამრღვევი მძღოლების მიმართ მიდგომები კიდევ უფრო გაამკაცროს. ეს ცვლილებათა პროექტი, რომელიც "კვირის პალიტრამ" ექსკლუზიურად მოიპოვა, ამ ეტაპზე შს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში განიხილება, ამიტომ არ არის გამორიცხული, პარლამენტში წარდგენის შემდეგ მასში ცვლილებები კიდევ შევიდეს. შეგახსენებთ, რომ ბოლოს კანონი "საგზაო მოძრაობის წესების შესახებ" 2016 წელს გამკაცრდა. სწორედ მაშინ შემოვიდა ქულათა სისტემაც, თუმცა სტატისტიკას თუ ვნახავთ, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა ბოლო 3 წელიწადში, ფაქტობრივად, არ შემცირებულა.

დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, რომელიც ჩვენ ჩაგვივარდა ხელთ, ადმინისტრაციულ სახდელებს ემატება სახდელის ახალი სახე - სატრანსპორტო საშუალების მართვის უფ-ლების ჩამორთმევა. მისი დაკისრების შემთხვევაში, მართვის უფლება მხოლოდ მართვის მოწმობის ხე-ლახლა მოპოვების გზით აღდგება.

სიმთვრალისას მძღოლისთვის გამოწერილი ჯარიმის ოდენობა მის სისხლში ეთანოლის ოდენობის მიხედვით განისაზღვრება. მაგალ-ითად, თუ ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვისას მძღოლის სისხლში ეთანოლის ოდენობა 0,3-დან 0,7 პრომილემდე დადგინდა, სანქცია 500 ლარი და მართვის უფლების 1 წლით ჩამორთმევა იქნება, ხოლო თუ ეთანოლის შემცველობა 0,7 პრომილეს გა-დასცდა, მძღოლი 1.000 ლარით დაჯარიმდება. შემოწმებისთვის თა-ვის არიდებაც 1.000-ლარიანი ჯარიმითა და მართვის უფლების 1 წლით ჩამორთმევით დაისჯება.

კიდევ უფრო მკაცრი იქნება კანონი სატრანსპორტო საშუა-ლების მეორედ ან მესამედ ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო, რისთვისაც უკვე შემოდის ადმინისტრაციული პატიმრობა სხვადასხვა ვადით. მაგალითად, სახდელის მოხდამდე სიმთვრალეში ავტომანქანის მართვის განმეორება გამოიწვევს მართვის უფლების ჩამორთმევის გაზრდას კიდევ 1 წლით და 3-დან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას, ხოლო, თუ სახდელის მოხდამდე მძღოლი საჭეს მთვრალი მესამედ მიუჯდება, მას მართვის უფლება კიდევ ორი წლით ჩა-მოერთმევა, ადმინისტრაციული პატ-იმრობა კი 7-დან 15 დღემდე მოელის.

იზრდება ჯარიმა ნასვამ და მართვის უფლების არმქონე პირის მიერ ავტომანქანის განმეორებითი მართვისთვის და მისი ოდენობა 2.500 ლარით განისაზღვრება. კა-ნონი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობასაც. იმ შემთხვევაში, თუ ნასვამი პირის მიერ მეორედ ან მესამედ სატრანსპორტო საშუალების მართვას ავარია მოჰყვება, მძღოლი 3.500 ლარით დაჯარიმდება, მართვის უფლების ჩამორთმევა კი გაეზრდება 3 წლის ვადით და 10-დან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდება. სანქციები მკაცრდება სიჩქარის გადაჭარბებისთვის. თუ დღეს გადაჭარბებად ითვლება დადგენილზე 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობა, ახალი კანონით ეს ზღვარი 10 კმ/სთ-მდე მცირდება. გარდა ამისა, სიჩქარის 40 კმ/სთ-მდე გადაჭარბება 50 ლარის ნაცვლად 150 ლარით დაჯარიმდება, სიჩქარის 40 კმ/სთ-ზე მეტით გადაჭარბება კი - 250 ლარით 150 ლარის ნაცვლად. თუ იურიდიულ პირს სიჩქარის გადაჭ-არბება ვიდეო- ან ფოტოფირზე დაუფიქსირდება, მას ჯარიმები გაორმაგებული მოცულობით დაეკისრება.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფოტო ან ვიდეოფირზე დაფიქსირებული სიჩქარის გადაჭარბებისთვის ქულის დაკლებას, ახალი პროექტით კი ეს სანქციაც შემოვა. მაგალითად, 40 კმ/სთ-მდე სიჩქარის გადაჭარბე-ბისთვის მძღოლს, 150 ლარით დაჯარიმების გარდა, მართვის მოწმობაზე 10 ქულა ჩამოაკლდება, ხოლო 40 კმ/სთ-ზე მეტით გადაჭარბებისთვის - 20 ქულა, 250-ლარიან ჯარიმასთან ერთად. კანონპროექტში გათვალისწინებულია ავტომობილის მესაკუთრის უფლებაც. კერძოდ, თუ სამართალდარღვევა ფოტოფირზე ან ვიდეოფირზე დაფიქსირდა, უფლებამოსილ პირს შეუძლია წერი-ლობითი ახსნა-განმარტებით დაადა-სტუროს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თავად გათავის-უფლდეს პასუხისმგებლობისგან და ის უშუალოდ სამართალდამრღვევს დაეკისროს.მკაცრდება ავტომობილის დგომა-გაჩერების წესების დარღვევა. ახალ სამართალდარ-ღვევად განისაზღვრა ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერების წესების დარღვევა და პასუხისმგებლობის ზომად 100-ლარიანი ჯარიმა დადგინდა.

ორმაგდება ჯარიმა ქვეითის მიერ მოძრაობის წესების დარღ-ვევისთვის და 10-ის ნაცვლად 20 ლარი გახდება, ხოლო 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთ-ხვევაში ჯარიმა უკვე 40 ლარი იქნება. თუ ქვეითის ქმედებებს მოჰყვა საავარიო ვითარება ან მოძრაობის შეფერხება, დღეს არსებული 50 ლარის ნაცვლად, გათვ-ალისწინებულია ჯარიმა 150 ლარის ოდენობით. ცალკე სამართ-ალდარღვევად განიაზღვრება საგზაო-სატრანსპორტო (ავარია) შემთხვევის ადგილის მიტოვება. დამრღვევს დაეკისრება 1.000-ლარიანი ჯარიმა და მართვის უფლება ერთი წლით შეუჩერდება. თუ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვა-ლისწინებს შუქნიშნის ამკრძალავ ფერზე, პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობისთვის, გასწრების წესების დარღვევის განმეორებით ჩადენისთვის პასუხისმგებლობის გაზრდას, ახალი კანონმდებლობით, შესაბამის დარღვევად განისაზღვრა ამ სამართალდარღვევის 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა და პირი დაჯარიმდება 100 ლარით.მანქანის მართვისას მობილური კომუნიკაციით სარგებლობი-სთვის დღეს მოქმედი 30-ლარიანი ჯარიმა 60 ლარი გახდება.

სპორტული მანევრი სამართალდარღვევის ახალი სახეობაა, რომელიც პროექტით შემოდის. მაგალითად, თუ მძღოლმა წი-ნასწარი შეცნობით განახორციელა მკვეთრი მანევრი, რასაც სატრანსპორტო საშუალების მოცურება მოჰყვა, ის 500 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თუ მკვეთრ მანევრს სატრანსპორტო საშუალების, ტვირ-თის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვება, მძღოლს 750-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება.

ზუსტდება და მკაცრდება სახდელები მართვის უფლების აკრძალვასთან დაკავშირებით. მაგა-ლითად, თუ პირი შეჩერებული მარ-თვის უფლებით მიუჯდება საჭეს, 500 ლარით დაჯარიმდება, ჩამორ-თმეული მართვის უფლების მქონე - 700 ლარით, ხოლო მართვის უფლების არმქონე - 1.200 ლარით. კანონპროექტში, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, ასევე ნათქვამია, რომ პარლამენტში მიმდინარეობს მოპედების საკითხის საკომიტეტო განხილვა. ამ ეტაპისთვის შენიშვნები გადაგზავნილია შს სამინისტროში და კანონპროექტი რედაქტირებას გადის.

მოქმედი კანონმდებლობით, მოპედი არ ექვემდებარება მომსახურების საგენტოში რეგისტრაციას და არც მართვის უფლებაა სავალდებულო. შს სამინისტროს მომზადებულ კანონპროექტში ნათქვამია, რომ ხშირია მოპედის მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, ვინაიდან მათთვის მართვის უფლების ქონა სავალდებულო არ არის, ეს თავისთავად გულისხმობს, რომ მძღ-ოლს არ უსწავლია საგზაო მოძრაობის წესები და არც გამოცდა ჩაუბარებია. ამიტომ ახალი რეგულაციით სავალდებულო იქნება მოპედის რეგისტრაცია და მართვის უფლების აღება. შესაბამისად, მოპედის მძღოლი სხვა სატრანსპორტო საშუალების მძღოლს გაუთანაბრდება და მასზე გავრცელდება იგივე რეგულაციები და წესები.

ეკა ლალიაშვილი, "საქართველ-ოს ალიანსი უსაფრთხო გზები-სთვის" გამგეობის თავმჯდომარე: "სამოქალაქო სექტორი მივესა-ლმებით დაგეგმილ ცვლილებებს, რადგან არაერთი მნიშვნელოვანი კამპანიის მიუხედავად, მათ შორის "მეტი სიცოცხლისთვის" კამპანიის მეორე ეტაპი დაიწყო, გზებზე ვითარება კვლავ მძიმეა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ ვითხოვეთ მძღოლის ნასვამობის გამო ადმინისტრაციული პატიმრობის შემოღება, რადგან მთვრალი მძღოლი პოტენციური მკვლელია. რა თქმა უნდა, ჩვენი თვითმიზანი არ არის ვინმეს დაპატიმრება, მაგრამ კანონმა უნდა დაწესოს მაღალი სტანდარტი ასეთი დანაშაულის პასუხისმგებ-ლობისთვის. ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა არ არის შემთხვევითი დარღვევა, როცა მძღოლმა, მაგალითად, შემთხვევით გადაკვეთა ღერძულა ხაზი, ან რომელიმე ამკრძალავი საგზაო ნიშანი ვერ შენიშნა. ავტომობილის მძღოლი გაცნობიერებულად იქცევა, როცა სასმელს სვამს და შემდეგ საჭესთან ჯდება. სიმთვრალეში მანქანის მართვა, სიჩქარის გად-აჭარბება, ერთ-ერთი ხშირი დარღვევაა.

მოძრაობის დადგენილი სიჩქ-არის გადაჭარბებას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს ავარიის გამომწვევ მიზეზებს შორის. ესეც ხშირად ფატალური შედეგით სრულდება. წლებია, ვერ მოვერიეთ ამ "სენს" და არც ამ მიზეზით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვ-ევები შემცირდა. ნებისმიერი კანონის მიზანი უნდა იყოს იმ ადამიანების ქცევის შეცვლა, ვინც არ ემორჩილება კანონს. ამიტომ ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ძალაში! ეს არაერთი მძღოლის ქცევას შეც-ვლის და ბევრი ადამიანის სიცოცხლეს დაიცავს. გარდა ამისა, უნდა ვიზრუნოთ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე სკოლებსა და ბაღებში. ასეთი ინიციატივა მაქვს - შს სამინისტრომ ჯარიმებიდან ამოღებული თანხის ნაწილი, როგორც ინვესტიცია, საგანმანათ-ლებლო კამპანიაში მიმართოს და სასწავლო თუ სკოლამდელ დაწესებ-ულებებში საგზაო მოძრაობის შესახებ ცნობიერების ზრდის გაკვეთილები დაინერგოს".

bpn.ge

„ორი რეგიონის საუკუნოვანი ყოფა-ცხოვრება და ძმობა წინაპართა დანატოვარ სიმღერებში აისახა“

გურულ-აჭარული ფოლკლორის საღამო ოზურგეთში

4 დეკემბერს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გურულ-ჭარული (ჭვანური) ფოლკლორის საღამო გაიმართა.

ანსამბლებმა „ჭვანა“, „შემოქმედი“ (ხელმძღვანელები ტარიელ ბოლქვაძე, ლაშა ჩხარტიშვილი), შეასრულეს აჭარასა და გურიაში შემონახული ადგილობრივი ორიგინალური ფოლკლორული სიმღერების სხვადასხვა ვარიანტები: „ხასანბეგურა“, „ყარანაი“„მაყრული“, „ვოსა“, „მგზავრული“, „ალიფაშა“, „ნადური“...

კონცერტის დასრულების შემდეგ შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ***მაკა მაკარაძემ*** ჭვანის ხეობაში, სოფელ ხაბელაშვილებში, ადგილობრივი ოსტატის მიერ დამზადებული ჩონგური გადასცა საჩუქრად ოზურგეთელ კოლეგას ***თამარ ნადირიძეს.***

* * *

კონცერტის დასრულების შემდეგ ანსამბლ „ჭვანას“ ხელმძღვანელს **ტარიელ ბოლქვაძეს** ვესაუბრეთ:

– 2012-2013 წლებში შუახევის მუნიციპალიტეტის წყალსაყარის თემში კულტურის ცენტრის დირექტორად ვმუშაობდი. ამ თემში 5 სოფელი შედის, ხოლო მთლიანად ხეობა 18 სოფლისაგან შედგება. ამ სოფლებში უამრავი მუსიკალური ოჯახი, თვითმოქმედი ანსამბლი, ინდივიდუალური შემსრულებელი და სახალხო მთქმელია. ამ ხეობის ფოლკლორის სიმდიდრემ მიიქცია ჩემი ყურადღება და გამიჩნდა იდეა, რომ ეს ყველაფერი მომეძიებია და აღდგენილიყო. დავიწყე ფიქრი, რომ შემექმნა ანსამბლი. 2014 წელს დავწერე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ანსამბლის ჩამოყალიბებას და ფოლკლორული მუშაობის დაწყებას, ასევე გურია-აჭარის (ჭვანის ხეობის) ფოლკლორის მსგა-ვსების შესწავლას და ურთიერთობებს ორი მეზობელი მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ ანსამბლებს შორის.

ჩემი ინიციატივითა და იმჟამინდელი კულტურის სახლის დირექტორის **ვახტანგ ბერიძის** ხელშეწყობით, შევარჩიეთ მომღერლები ხეობის სხვადასხვა მუსიკალური ოჯახებიდან და ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი, მოწვეულ იქნა ეთნომუსიკოლოგი **ლოლიტა სურმანიძე,** რომელმაც ჩვენთან ერთად ორი წელი იმუშავა და აღვადგინეთ რამდენიმე სიმღერა.

ანსამბლის წევრები ხეობის უშორესი სოფლებიდანაც ჩამოდიან შუახევში რეპეტიციებსა თუ კონცერტებზე. ანსაბლის სოლისტი **ხასან ხილაძე,** ხეობის ყველაზე დაშორებული სოფელ ნაღვარევიდანაა და ხშირად უხდება ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა ხეობის მთავარ გზამდე.

2014 წელს შევხვდი ეთნომუსიკოლოგ **ნინო რაზმაძეს** და მას გავაცანი პროექტი გურია-აჭარის ფოლკლორის მსგავსებაზე, ასევე ჩვენი მისწრაფებები და მიზნები. მან გადმოგვცა ჩამწერი აპარატი საჩუქრად, რაც საშუალებას მოგვცემდა ხეობაში შემორჩენილი ფოლკლორული ნიმუშების ჩაწერა-დაარქივებაში. იგი გვეხმარებოდა რჩევებით სწორი მიმართულებებისა და განვითარებისათვის. ანსამბლი შედგა და ჩვენ წარმატებებს მივაღ-წიეთ.

–თქვენ რეპერტუარში ცეკვებიც გაქვთ...

– ძალიან ავთენტური და ნიჭიერი მომღერლები გვყავს. ვაკვირდებოდი ანსამბლის წევრების ნიჭსა და შეს-აძლებლობებს. ისინი არამარტო მღეროდნენ, არამედ თავის მამისეულ ილეთნაირ სახეობებსაც ცეკვავდნენ და უკრავდნენ ხალხურ ინსტრუმენტებზე. გვჭირდებოდა ქორეოგრაფიც. შუახევის მუნიციპალიტეტის მერი **ფრიდონ ფუტკარაძე** და კულტურის ცენტრის დირექტორი **მაკა მაკარაძე** დაგვეხმარენ. ავიყვანეთ ქორეოგრაფები. **ბადრი ბოლქვაძემ** „განდაგანა“ დადგა, ხოლო და **ნოდარ ქათამაძემ** – „ნაღვარევის ხორუმი“, რომელსაც „ბასმა ხორუმსაც“ ვუწ-ოდებთ, რადგან მასში სამხიარულო ნომრებიცაა შეტანილი.

– თქვენი ამსამბლი საქართველოს გალობის უნივერსიტ-ეტთან და ფონდ „ქართულ გალობასათანაც“ თანამშ-რომლობს..

– ორი წლის წინ ეთნომუსიკოლოგმა ნინო რაზმაძემ ფონდ

„ქართული გალობის“ დამფუძნებელთან ნანა გოთუასთან და გალობის უნივერსიტეტთან წარგვადგინა და მათ დახმარება ვთხოვეთ, რადგან ჩვენ უამრავი სიმღერის ნიმუში უნდა აღვედგინა..

დაგვეხმარენ, პროექტი მოგვამზადებინეს, დაგვიფინანსეს და გალობის უნივერსიტეტის 4 სტუდენტი მოავლინეს ჩვენთან. **ნათია აზარაშვილი, ნინო რეხვიაშვილი, ილია ხვივია და გიორგი ჯოლბორდი** ბევრ რამეში დაგვეხმარენ. ბევრი რამ გვასწავლეს, ჩვენგანაც ისწავლეს და დღეს ანსამბლის რეპერტუარში 26 სიმღერა და 2 ცეკვა გვაქვს. პროექტის დირექტორი ნინო რაზმაძე იყო

აღდგენილი რეპერტუარით წელს ერთი ხეობის კონცერტი ჩავატარეთ ქ. თბილისში, შემდეგ კი ბათუმის მუსიკალურ ცენტრში. ბოლო დროს ფოლკლორის ცენტრიდან და გალობის უნივერსიტეტიდან ზემომთიან აჭარაში უნიჭიერესი ლოტბარი **გურამ გუნთაძე** მოგვივლინეს პროექტების მიმართულების კოორდინატორად.

დიდი მხარდაჭერა გვაქვს ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლების **ვანო ჩხარტიშვილისა** და **ნანა გოთუასაგან.**

ეთნომუსიკოგ ნინო რაზმაძეს ჭვანელებმა მათი ხეობის ფოლკლორის მოძიება-აღდგენა პოპულარიზების განვითარებისათვის „საპატიო ჭვანელის“ წოდებით დააჯილდოვეს.

– როგორ შედგა თქვენი და ანსამბლ „შემოქმედის“ პროექტი?

– გურია-აჭარის ურთიერთობის ერთ-ერთი ლამაზი ფურცელია „ჯვარიმინდორობა,“ რომლის ისტორია თურქებისაგან აოხრებული ხეობის სიწმინდეების შემოქმედის ტაძარში გადმობრძანებას უკავშირდება. ჭვანის ეკლესიის მღვდელმა ზაქარია ქათამაძემ სწორედ ამჟ-ამინდელ ჯვარიმინდორზე თქვა: „ჯვარო მიდიხარ, ჯვარო დაბრუნდები.“ 2013 წლის 28 აგვისტოს შემოქმედის ტაძრიდან ჯვარი იგივე გზით, რაც საუკუნეების წინ რა გზითაც წააბრძანეს, იმავე გზით ჭვანის ხეობაში იმჟამად მშენებარე ტაძარს დაუბრუნდა. „ჯვარიმინდორის“ დღესასწაულზე რამდენჯერმე ერთად მოგვიწია გამოსვლა ანსამბლ „იადონთან ერთად.“ დავ-მეგობრდით. შემდეგ კი პროექტით ანსამბლ „შემოქმედთან“ დავიწყეთ მუშაობა.

შემდეგ კი შუახევისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და კულტურის ცენტრების მხარდაჭერით ჯერ შუახევში, ხოლო ამჟამად ოზურგეთში წარმოვადგინეთ ერთობლივი კონცერტი „გურულ-აჭარული ფოლკლორული საღამო.“ მსმენელების წინაშე წავრსდექით ერთნაირი რეპერტუარით და ორი რეგიონის ისტორიებით. მასალები არტემ ერქომაიშვილის კვლევების წიგნიდან ნინო რაზმაძემ მოგვაწოდა. ასევე მეზობლების შესახებ მასალები მოგვაწოდეს ანსამბლ „შემოქმედის“ ხელმძღვანელმა **ლაშა ჩხარტიშვილმა,** ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის პედაგოგმა **მაია გელაშვილმა;** ჭვანელმა პოეტმა **ოთარ ცინარიძემ,** იქაურმა მოხუცებმა.

–როგორ შეაფასებდით 4 დეკემბერს ოზურგეთში გამართულ ერთობლივ კონცერტს.

–გულით მიგვიღო ოზურგეთელმა მსმენელმა. მადლობას ვუხდი ანსამბლ „ჭვანას“ და „შემოქმედის“ უნიჭიერეს მომღერლებს ამ მნიშვნელოვანი საქმის გულთან და სიყვარულით, ენთუზიაზმით მსმენელამდე მიტანისათვის. რომ არა ასეთი დამოკიდებულება, ეს საღამო ვერ შედგებოდა. მადლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიას, ოზურგეთის კულტურისა და ფოლკლორის ცენტრებს, დამსწრე სზაოგადოებას. ჩვენ მათ ვაჩვენეთ ორი რეგიონის საუკუნოვანი ყოფა-ცხოვრება და ძმობა, რაც ორი რეგიონის წინაპართა დანატოვარ სიმღერებში აისახა.

– მომდევნო პროექტი რა იქნება.

– ჩვენ არ ვაპირებთ მარტო საკონცერტო ნომრების მომზადებით შემოვიფარგლოთ. გალობის უნივერსიტეტის, ფონდი „ქართული გალობის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის იმედი გვაქვს. ამჯერად ჭვანის ხეობის მომღერალ ოჯახებთან ვაპირებთ მუშაობას. ანსამბლ „შემოქმედთან“, გურიასთან კი ჩვენი ურთიერთობა კვლავ გაგრძელდება.

ნუგზარ ასათიანი

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 დეკემბერი, ორშაბათი	10 დეკემბერი, სამშაბათი	11 დეკემბერი, ოთხშაბათი	12 დეკემბერი, ხუთშაბათი	13 დეკემბერი, პარასკევი	14 დეკემბერი, შაბათი	15 დეკემბერი, კვირა
მზე, ღრუბელი +2+9	მზე +2+11	მზე, +2+12	მზე, +2+11	მზე, +5+12	მზე, ღრუბელი +4+11	მზე, ღრუბელი +5+10